



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ბენეფიკარული დირექტორის

ბრძანება № 156

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2017წ.

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსიდან
განაცხადების მოხსნის შესახებ

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის კოორდინატორის ანა ფოლადაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N1436038, 24.11.2017წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსიდან მოიხსნას ამ ბრძანების დანართი ერთობ გათვალისწინებული განაცხადები;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი N6).

მანანა მიქაბერიძე

შემსრულებელი:
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი



შეთანხმებულია:

სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის,
შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე კლდიაშვილი

-----*ე. კლდიაშვილი*-----